



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 39

ქ. გარდაბანი

28/04/2023

39-06-4-202304281534



გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების ლუკა ღუჭაშვილის, ნიკოლოზ ქარუმძის, კობა ქარუმძისა და მწვრთნელის იმედა ფრეწუაშვილის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N38 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ივლისის N49 დადგენილებისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2023 წლის 3 აპრილის N61, 64, 65 წერილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N38 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - ლუკა ღუჭაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 400 (ოთხასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - ნიკოლოზ ქარუმძის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 400 (ოთხასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - კობა ქარუმძის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 600 (ექვსასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - იმედა ფრეწუაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 460 (ოთხას სამოცი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღდო ანგარიშწორებით, სპორტსმენებისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

ლუკა ლუჭაშვილი - 400 (ოთხასი) ლარი,
ნიკოლოზი ქარუმიძე - 400 (ოთხასი) ლარი,
კობა ქარუმიძე - 600 (ექვსასი) ლარი,
იმედა ფრეწუაშვილი - 460 (ოთხას სამოცი) ლარი,

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

